

მიღება-ჩაბარების  
აქტი

ქ.ლაგოდეხი

06.01.2016 წ.

აქტი შედგენილია მასზედ, რომ შ.პ.ს. „სასწორი“-ს დირექტორს გურგენ აბრამიშვილს (შემდგომში „მიმწოდებელი“) და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელს კარლო ჯამბურიას (შემდგომში „შემსყიდველი“) შორის 2015 წლის 4 დეკემბერს დადებული N284 ხელშეკრულების შესაბამისად „მიმწოდებელმა“ ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა“ მიიღო: სოფ.ძაწიძის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

რომლის ღირებულება შეადგენს 27696,51 ლოდამუდიათას ექვსასოთხმოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცდაათერთმეტი თეთრი/ ლარს

საფუძველი: შ.პ.ს „საქართველოს ექსპერტიზისა და აუდიტის ეროვნული პალატი“-ს 2015 წლის 29 დეკემბრის N15/082 დასკვნა.

ჩააბარა:

შ.პ.ს. „სასწორი“ ს

დირექტორი:

გურგენი აბრამიშვილი



მიიღო:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის

გამგებელი: *კ. ჯამბურია* კარლო ჯამბურია





შპს „საქართველოს ექსპერტიზისა და აუდიტის ეროვნული პალატა“

**GEA**

სამქსპერტო დასკვნა

№15/082

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გურგენიანის,  
სოფელ ნინგორის, სოფელ მაწიმის სასმელი წყლის სათავე  
ნაგებობების, სოფელ თელაზე სარწყავი სისტემის  
სარეაბილიტაციოდ შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა

დამკვეთი:

შპს „სასწორი“

თბილისი

2015



ქ. თბილისი

29 დეკემბერი 2015 წ.

№15/082

ჩვენ, შპს „საქართველოს ექსპერტიზისა და აუდიტის ეროვნული პალატა“-ს ექსპერტები: თამაზ შავიძე (უფროსი ექსპერტი, ინჟინერი, ეკონომისტი, დოქტორი, სერთიფიკატი №CE-016-12), ნოდარ კიკლაშვილი (პალატის წარმომადგენელი, ეკონომისტი) ვადასტურებთ, რომ გაგვანინია საკმარისი ცოდნა, კვალიფიკაცია და გამოცდილება საექსპერტო სამუშაოების შესასრულებლად.

საექსპერტო სამუშაოების ჩატარება დაიწყო 2015 წლის 25 დეკემბერს და დასრულდა 2015 წლის 29 დეკემბერს.

**ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი:** შპს „სასწორი“-ს წერილი №56 14.12.2015 წ.

**ობიექტი:** ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გურგენიანის, სოფელ ნინიგორის, სოფელ მაწიმის სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, სოფელ თელას სარწყავი სისტემის მოწყობა.

**მისამართი:** საქართველო, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვქემო გურგენიანი, სოფელი ნინიგორი, სოფელი მაწიმი, სოფელი თელა.

**ექსპერტიზის წინაშე დასმული ამოცანა:** რეალურად შესრულებული სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოების მოცულობების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობა და ხარისხის განსაზღვრა.

**კვლევა:** აღნიშნულ ობიექტზე, სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებდა შპს „სასწორი“, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი იქნა სათანადო დოკუმენტაცია და შესრულებული სამუშაოები. ექსპერტების მიერ ჩატარდა დოკუმენტაციის გაცნობა, ობიექტების დათვალიერება-შემოწმება, საკონტროლო აზომვები, რომელსაც ესწრებოდა საამშენებლო ფირმის წარმომადგენელი.

სოფელ ქვემო გურგენიანის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციისათვის, გასუფთავდა დრენაჟის და შემოდღობვის ტერიტორია,

არსებული სალექარი რეზერვუარი (ბასეინი) გაიწმიდნა დანალექი გრუნტისაგან ხელით, წყლის შემკრები რეზერვუარის კედელი ამალდა რკბეტონის მონოლითით, ქვის წყობის ამოღება, გარეცხვა შემდგომი გამოყენებისთვის, სადრენაჟე პლასტმასის მილების დახვრეტა მოწყობა, დრენაჟიდან გამომავალ მილებზე თუჯის ურდულების მოწყობა, სადრენაჟე მილების გარშემო და ზემოთ, სხვადასხვა ზომის ქვის მოწყობა, ღორღის ზედა ფენის მოწყობა დრენაჟში.

პ12 „სალექარი ჭის სახურავის ორჯერადი შეღებვა ზეთოვანი საღებავით“ - არ შესრულებულა.

სოფელ ნინიგორის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და მაგისტრალის მოწყობისათვის გასუფთავდა სადრენაჟე თხრილისა და წყალსადენის მონაკვეთის გასწვრივ ტერიტორია, სადრენაჟე პლასტმასის მილის პერფორირება ადგილზე და მონტაჟი მომზადებულ საფუძველზე, სამევალყურეო და სავენტილაციო ჭების მოწყობა რკბეტონის რგოლებით, სადრენაჟე სისტემის ბოლოში მოეწყო, დამცავი მონოლითური ბეტონის კედელი, ფრაქციული ფენები ღორღით, მსხვილმარცვლოვანი ხრეშით, მსხვილი ქვიშით, სადრენაჟე ფენაზე საიზოლაციო ფენა (ეკრანი) თიხით, თიხის ეკრანზე დაიყარა და მოსწორდა გრუნტი ბუღდოხერით. სადრენაჟე სისტემის ბოლოში მოეწყო წყლის მიმღები (შემკრები) რეზერვუარი რკბეტონის რგოლებით, ხუფით. გამზადებულ თხრილში მოეწყო, პლასტმასის სხვადასხვა დიამეტრის მილებით წყალსადენი სისტემა. მილსადენებზე მოეწყო განშტოებების კვანძები, მოსახლეობისათვის სახლებში წყლის გასაყვანად. წყალსადენის ბოლოში მოეწყო ჭები ასაწყობი რკბეტონის რგოლებით, დამონტაჟდა წყლის ჩამკეტ-გამშვები ურდული, დაწნევის სარეგულირებელი ურდული, წყალსადენის გამრეცხი ურდული. დამონტაჟებულ მილსადენზე მოხდა გრუნტის დამცავი ფენის მიყრა ბუღდოხერით. დრენაჟის ტერიტორია შემოიღობა მოთუთიებულ მათულებადით, გრუნტში ჩაბეტონებული ლითონის კვადრატული მილის ბოძებზე, კუტიკარის მოწყობით.

სოფელ მაწიმის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციისათვის, არსებულ სადრენაჟე სისტემაში მოხდა ღორღის ფენის ამოთხრა ხელით, პლასტმასის სადრენაჟე მილების გამოჩენის მიზნით, სადრენაჟე მილების გაწმენდა ნალექისაგან, გამორეცხვა წყლით, თხრილის ძირზე წყალდამჭერი ფენის (ე.წ. ეკრანის) მოწყობა თიხით, არსებული სადრენაჟე მილების მონტაჟი მომზადებულ საფუძველზე, სადრენაჟე ფენის მოწყობა გარეცხილი ფრაქციული ღორღით, სადრენაჟე სისტემის ბოლოში არსებული ბეტონის დამცავი კედლის ამალღება მონოლითური ბეტონით, არსებული გამშვები, დამცლელი და გამრეცხი ურდულების გამოჩენა, დაშლა გასუფთავება, მილების გარეცხვა და ურდულების მონტაჟი. არსებული სადრენაჟე სისტემიდან ამოღებული დაბინძურებული მასის ტრანსპორტირება ნაგავსაყრელზე.

სოფელ თელას სარწყაეი სისტემის სარეზილიტაციოდ მოხდა სარწყაეი არხის ღარების ქვეშ, საყრდენების წერტილოვანი საძირკვლის მოწყობა ბეტონით

(ყინვაგამძლე, წყალმდეფი), ფოლადის საყრდენების ნაყოლებით. დაბეტონებულ დგარებზე დამუშავებული გრუნტის მიერა ხელით, წყლის გამტარუნარიანობის და დებეტის მოსამატებლად, ლითონის ღარების გვერდების ამაღლება და ღარების შეერთების ადგილის დაფარვა ფურცლოვანი ფოლადით, ღარების ნაპირების გამაგრება კუთხოვანის ფოლადის მიღზე დადულებით, ფოლადის სანიაღვრე არხის მიმდებარე არხის გაწმენდა-დადრმავება ხელით, ხიდბოგირის მოწყობა რკბეტონის მიღებით, დამცავი რკბეტონის კედლით, გვერდებში ბალასტის ნაყრით, სოფლისკენ მიმავალი სარწყავი არხის გაწმენდა ექსკავატორით ავთვისამცვლელზე დატვირთვით, დამუშავებული გრუნტის გატანით ნაყარში.

ყველა გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებულია ბოლომდე.

შესრულებული სამუშაოების მოცულობების დადგენის მიზნით, ნატარებული იქნა აზომვითი სამუშაოები. ხილული სამუშაოები აზომილი იქნა ფაქტიური მდგომარეობით, სხვა სამუშაოები ნათვლილი იქნა, როგორც ტექნოლოგიურად აუცილებელი. დადგინდა, რომ შესრულებული სამუშაოების მოცულობების ოდენობა და ხარისხი, შეესაბამება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებით დამტკიცებულ მოცულობებსა და ხარისხს.

**ექსპერტიზის დასკვნა:** შპს „სასწორი“-ს მიერ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო გურგენიანის, სოფელ ნინიგორის, ზოფელ მაწიმის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის, სოფელ ჰთელაზე სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციოდ შესრულებული, ფორმა №2-ით წარმოდგენილი სამუშაოები, ძირითადად შეესაბამება ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებს, აკმაყოფილებს მასზე წაყენებულ მოთხოვნებს და შეადგენს  $14788.00+50490.17+27696.51+26688.00=119662.68$  ლარს.

**კვლევისათვის გამოყენებული მასალები:** ექსპერტიზის დამკვეთის მიერ წარმოდგენილი, ობიექტის მოწყობისათვის შედგენილი ხარჯთაღრიცხვა, საპროექტო დოკუმენტაცია, სამუშაოების შესრულების აქტი ფორმა №2, ფარული სამუშაოების აქტები, ფოტომასალა.

**კვლევისათვის გამოყენებული ლიტერატურა, ნორმატივები:**

1. საქართველოს ეროვნულ სტანდარტად დარეგისტრირებული საამშენებლო ნორმები და წესები.
2. საამშენებლო რესურსების ფაქტობრივი მდგომარეობის დადგენის მეთოდები.

უფროსი ექსპერტი:



/თ. შავიძე/

პალატის წარმომადგენელი:

/ნ. კიკილაშვილი/